სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ (მუსიკის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა №4, 30.04.2019)

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე და 29-ე მუხლების, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 31-ე და 32-ე მუხლების, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მუსიკის ფაკულტეტის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები.
2. მუსიკის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები დაინიშნოს 2019 წლის 07 ივნისს.
3. კანდიდატი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ლ.ასათიანის ქ.N37, ოთახი N41), 2019 წლის 31 მაისიდან 2019 წლის 05 ივნისის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა.
5. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

   ა) განცხადება;

   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   გ) ავტობიოგრაფია (CV);

   დ) 2 ფოტოსურათი, ზომით ¾-ზე;

   ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

   ვ)უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

   ზ) უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

   თ) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია.